<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №11-12, 14.03.1998, გვ. 42) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. 23^1 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ე^2 პუნქტი:

„ე^2) ადგილობრივ საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთის, აქციებისა და წილების სახელმწიფოსთვის, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის, თვითმმართველობის ერთეულებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ, ასევე აქციებზე და წილებზე საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.“

2. 32^1 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 პუნქტი:

,,5^1. მთავრობა უფლებამოსილია მის მიერ დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს განუსაზღვროს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და გაცნობის წესი და პირობები.’’.

3. კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მთავრობის კომპეტენციას ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხებში განეკუთვნება:

ა) ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო საწყისი ფასის განსაზღვრა, პრივატიზება და მართვა, ამ ქონების დაცვა და მოვლა-პატრონობა, მათ შორის, წარმომადგენლის ან შუამავლის მეშვეობით;

ბ) ადგილობრივი საკუთრების ქონების სარგებლობაში გადაცემა, მათ შორის, წარმომადგენლის ან შუამავლის მეშვეობით;

გ) ადგილობრივი საკუთრების შექმნა, შეძენა და გასხვისება;

დ) ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი პირისათვის ან/და წარმომადგენლისათვის ქონების განკარგვასთან დაკავშირებული, მათ შორის, ელექტრონული აუქციონის წარმოების, შიდა პროცედურების განსაზღვრა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით;

ე) პრივატიზებული ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონების მიმღები პირის ფინანსური და საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებისგან გათავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა;

ვ) დედაქალაქის ტერიტორიის ზონებად დაყოფა;

ზ) ქალაქ თბილისის მიწის კადასტრის შედგენა და წარმოება;

თ) სამეწარმეო, არასამეწარმეო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;
ი) მთავრობის მიერ დაფუძნებული ან/და მისი 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით არსებული სამეწარმეო იურიდიული პირების ქონების გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის წესების დამტკიცება.''

4. 38-ე მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-4 პუნქტი:
„4. ამ მუხლის მე–2 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენციის განხორციელებისას ქ. თბილისის მთავრობა ან მისი წარმომადგენელი/შუამავალი უფლებამოსილი არიან ნებისმიერი დოკუმენტაცია მიიღონ, შეადგინონ ან/და გასცენ როგორც წერილობითი, ასევე ელექტრონული ფორმით, რომლებსაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა, თუკი ელექტრონული ფორმით გაცემული დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია მისი გამომცემი ორგანოს ოფიციალური ინტერნეტსაიტის მეშვეობით. ელექტრონული ფორმით გაცემული ნებისმიერი შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი ჩაბარებულად ჩაითვლება ადრესატის მიერ მისი ელექტრონული ფორმით გაცნობისთანავე.“

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი